ჩინეთის დიდი კედელი

იცი, რატომ არის ჩინეთის დიდი კედელი მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება? წაიკითხე ტექსტი და იპოვე პასუხი ამ კითხვაზე.

როგორ ფიქრობ, რა სიგრძის იქნება ჩინეთის დიდი კედელი? ალბათ, არ დაიჯერებ. იგი 8852 კმ-ია, არც მეტი და არც ნაკლები! კედელი **კვეთს** უდაბნოს, დაბლობებსა და მთებს. იწყება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ჰუშანის კედლით. გაივლის ჩინეთის უამრავ მხარეს. სრულდება დასავლეთ ნაწილში ჩიუგუანის მონაკვეთით. ჩინეთის კედელი არ არის ერთი უწყვეტი ნაგებობა. მას გზად ზოგან ღრმა **ხეობები** ეღობება, ზოგან – ციცაბო კლდეები და ჩქარი მდინარეები. კედელს საუკუნეების განმავლობაში აშენებდნენ.

კედლის რამდენიმე მონაკვეთი ძალიან ძველია. ისინი თითქმის 2500 წლის წინ არის აგებული. ცნობილია, რომ იმ დროს ხშირი იყო ომიანობა. ერთმანეთს რამდენიმე სამეფო ებრძოდა. ფიქრობენ, რომ ეს კედლები მათ საზღვრების დასაცავად აღმართეს. მასალად მიწა და **ხრეში** გამოიყენეს.

დღემდე შემორჩენილი კედლის უმეტესი ნაწილი 1368-1644 წლებში არის აშენებული. იგი ძველ კედელზე უფრო მაღალი და მტკიცეა. ზოგან მისი სიმაღლე 7 მეტრია. სისქით 4-იდან 9 მეტრამდე მერყეობს. აგებულია აგურებითა და ქვებით. ზედ დგას საგუშაგო კოშკები და **ყაზარმები**. მათ შორის მანძილი 200 მეტრია. ასეთ კედელზე ქვეყნის დასაცავად მილიონობით ჯარისკაცი მაინც იქნებოდა **დაბანაკებული**.

ჩინეთის დიდი კედელი ქვეყნის სიამაყეა. ის მსოფლიოს ერთ-ერთ ახალ საოცრებად აღიარეს. მისი შექმნის ისტორიაზე მრავალი მითი თუ ლეგენდა არსებობს. კედელი **პოპულარული** ტურისტული ადგილია. იგი ყოველ წელს მილიონობით მნახველს იზიდავს.

ერთ დროს გავრცელდა მცდარი მოსაზრება, თითქოს ჩინეთის დიდი კედელი მთვარიდან ჩანს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს შეუძლებელია. ამისათვის ადამიანს 17000-ჯერ უკეთესი მხედველობა უნდა ჰქონდეს. და, რაც მთავარია, არცერთი ასტრონავტი არ ასახელებს ფაქტს დიდი კედლის და ნახვის შესახებ.

ტექსტი გადამუშავებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიოს საოცრებების“ მიხედვით.

შენი აზრით, ყველაზე მეტად რის გამო მიაჩნიათ ჩინეთის დიდი კედელი საოცრებად?

კომპონენტი: ფაქტი და მოსაზრება, **დონე:** 4.1

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელ წინადადებაშია გადმოცემული ზუსტი ცნობა ჩინეთის დიდი კედლის შესახებ?

ა) კედელზე, სავარაუდოდ, მილიონობით ჯარისკაცი იყო დაბანაკებული.

ბ) კედლის უძველესი მონაკვეთი დაახლოებით 2500 წლის წინ არის აგებული.

გ) დღემდე შემორჩენილი კედლის დიდი ნაწილი 1368-1644 წლებშია აშენებული.

2 რომელია ფაქტი?

ა) ჩინეთში კედლის აგება, ფიქრობენ, სამეფოების მტრობის დროს დაიწყო.

ბ) ვარაუდობენ, რომ ჩინეთის დიდ კედელზე ჯარისკაცები ბანაკდებოდნენ.

გ) ჩინეთის დიდ კედელს გზად არაერთი მდინარე და მთა ეღობება.

3 ჩინეთის დიდი კედელი ტურისტისთვის საინტერესოა, რადგან:

ა) იგი აგებულია აგურებითა და ქვებით.

ბ) იგი იწყება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

გ) იგი მსოფლიოს ერთ-ერთი ახალი საოცრებაა.

4 ბოლო აბზაცის მიხედვით, რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) ასტრონავტები არ ასახელებენ ჩინეთის დიდი კედლის ნახვის ფაქტს.

ბ) დადგინდა, რომ მთვარიდან დიდი კედლის დანახვა შეუძლებელია.

გ) ვარაუდობდნენ, რომ მთვარიდანაც შეიძლება ჩინეთის კედლის დანახვა.

5 ტექსტში *<u>არ ჩანს</u>*:

ა) რა დანიშნულება ჰქონდა ძველად ჩინეთის დიდ კედელს.

ბ) რატომ ამაყობენ ჩინეთის დიდი კედლით ჩინელები.

გ) როდის აღიარეს ჩინეთის დიდი კედელი საოცრებად.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. კედელი **<u>კვეთს</u>** უდაბნოს.

   ა) გარს უვლის. ბ) იცავს. გ) ჭრის.

2. ქვეყნის დასაცავად მილიონობით ჯარისკაცი იყო **<u>დაბანაკებული.</u>**

   ა) ბრძოლაში ჩართული. ბ) დროებით დაბინავებული. გ) საომრად მომზადებული.

3. კედელი **<u>პოპულარული</u>** ადგილია.

   ა) უცნაური. ბ) უძველესი. გ) ცნობილი.

2 ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ხრეში	ჯარისკაცების საცხოვრებელი შენობა.
2. ხეობა	წვრილი ქვიშა.
3. ყაზარმა	მთებს შორის მოქცეული ტერიტორია მდინარის გასწვრივ.

3 დაწერე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

1. სქელი – ---------- .
2. მცდარი – ---------- .
3. მეტი – ---------- .
4. უახლესი – ---------- .

4 რომელია ზედმეტი?

ა) ბოლოვდება. ბ) გრძელდება. გ) მთავრდება. დ) სრულდება.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე გამოტოვებული სიტყვები მრავლობით რიცხვში.

1. მთის (*მდინარე*) ---------- სწრაფად მიედინება.
2. მათ (*საზღვარი*) ---------- გაამაგრეს.

გრამატიკა

2 **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.**

	ხშირათ.	*ხშირად.*
1.	☐ დიდი კედლით.	☐ დიდი კედელით.
2.	☐ შვიდი საოცრებები.	☐ შვიდი საოცრება.
3.	☐ მრავალი წლის წინ.	☐ მრავალი წლის უკან.

3 **დაწერე, რომელი სიტყვისგან არის მიღებული თითოეული სიტყვა.**

ნიმუში: სრულდება — სრული.

1. ომობდნენ – ---------- . 2. ეღობება – ---------- .

წერა

1 **ტექსტში წარმოდგენილი ფაქტების მიხედვით შეავსე სქემა.**

რას ეხება ფაქტი?	**რა ფაქტია მოცემული ტექსტში?**
1. კედლის სიგრძეს.	სიგრძე 8852 კმ-ია.
2. კედლის სიმაღლეს.	
3. კედლის დანიშნულებას.	
4. კედლის აგების წლებს.	

2 **დაწერე სამი მიზეზი მაინც, რის გამოც გაგიჩნდა ჩინეთის დიდი კედლის ნახვის სურვილი.**